წერილის ნომერი: **18-01231643395**
თარიღი: **13/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-0123158171
წერილის თარიღი:	07 ივნისი, 2023
განმცხადებელი:	რევაზ ტყემალაძე
განაცხადის N	AR1967951
მისამართი	ქ. თბილისი, ვარკეთილის მეურნეობა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.81.08.312.001
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; IV კლასი;
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ინოვაციური ხედვა“ (ს/ნ: 405290055)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1) გამწვანებული ტერიტორიები (მცირე ნაწილზე ვრცელდება)
არსებული შეზღუდვები	---------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილით
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიცია

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 96-ე, 97-ე მუხლები; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-

ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, 30-ე მუხლის მე-9 პუნქტი; 31-ე, 32-ე, 34-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით №28-94 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“, ,,ლ“ ქვეპუნქტები;

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ მწვანე ნარგავის (N6 კედარი - D121სმ) უნებართვო ჭის ფაქტთან დაკავშირებით მასალები შესასწავლად გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე სამსახური ვერ იმსჯელებს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

დანართი: 1 გვერდი;

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



№6